



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1381

14/03/2019

1381-09-2-201903141609



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძე

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის პირველი ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომმართა დაინტერესებულმა პირებმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ქ. ლანჩხუთში ჟორდანის ქ. N126-ში მდებარე ყოფილი სასტუმროს შენობის პირველ სართულზე არსებული N19 (ს/კ 27.06.51.005/01.522) და N20 (ს/კ 27.06.51.005/01.523) ფართობის, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოაცხადოს განსაზღვრული ვადით, სასყიდლიანი ელექტრონული აუქციონი, რისთვისაც საჭიროა, რომ „ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან გასაანგარიშებელი კოეფიციენტის (10-%) ოდენობით, რომელიც გაწერილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

- ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.
- ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



დანართი

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|--------------------------------------|--------------|---|---------------------------|---|--|
| ადმინისტრაციული ერთეული (მდებარეობა) | ს/კოდი | შენობა-ნაგებობის I სართულის საერთო ფართი (კვ.მ) | უძრავი ქონების დასახელება | შენობა-ნაგებობის I სართულის ღირებულება (ლარი) | შენობა-ნაგებობის 1 კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი) |
| ქ.ლანჩხუთი | 27.06.51.005 | 514.8 | ყოფილი სასტუმროს შენობა | 128700 | 250 |

| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|--|----------------------|--|--------------------------------|--|---|
| შენობა-ნაგებობაში არსებული გასაქირავებელი ფართის ნუმერაცია შენობის შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისად | ფართის სიდიდე (კვ.მ) | შენობა-ნაგებობის 1 კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი) | ფართის საწყისი საფასური (ლარი) | ფართის საწყისი საფასურიდან გასაანგარიშებელი კოეფიციენტის რაოდენობა (%) | ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა (ლარი) |
| N19 (ს/კ 27.06.51.005/01.522) | 16.1 | 250 | 4025 | 10 | 402.5 |
| N20 (ს/კ 27.06.51.005/01.523) | 15.5 | 250 | 3875 | 10 | 387.5 |
| | | | % | 100 | |

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის მარტი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის პირველი ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონების, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე